

ავტობიოგრაფია

დავით მამისეიშვილი

დაიბადა 1978 წლის 24 აგვისტოს, ქ. ქუთაისში;

1995 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო ექსპერიმენტალური სკოლა-გიმნაზია;

2000 წელს დაამთავრა ქ. ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტი;

2000-2001 წლებში გაიარა სამხედრო-სავალდებულო სამსახური საქართველოს თავდაცვის სამინისტროს №12131 სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში;

2002-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო საგამოძიებო სამსახურში გამომძიებლად;

2004-2005 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში გამომძიებლად;

2005 წელს (მაისიდან ნოემბრამდე) მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველოში გამომძიებლად;

2005-2008 წლებში მუშაობდა შიდა ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად, ხოლო რეორგანიზაციის შემდეგ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროს გამომძიებლად;

მინიჭებული აქვს იუსტიციის უმცროსი მრჩევლის სახელმწიფო სპეციალური წოდება;

2008-2009 წლებში იყო ქედის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარე, ამასთან მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა შუახევის რაიონულ სასამართლოში;

2009-2012 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;

2009-2012 წლებში იყო ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე;

2013 წლიდან დღემდე არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე და ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 20 ოქტომბრის 1/279 გადაწყვეტილებით დაინიშნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.